

2014 წლის ანგარიში  
საქართველოში ნარკოვითარების  
შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა  
სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში



შინაგან საქმეთა  
სამინისტრო

## 1. დაბალანსებული ნარკოპოლიტიკა

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში უამრავი პრობლემა დაგროვდა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის კუთხით, რაც ნეგატიურად აისახებოდა მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შემდეგში - შსს) 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აიღო დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის ვექტორი. შსს-ს ყველა ინიციატივა წარმოადგენს სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგს, რომელიც კომპლექსური ანალიტიკური სამუშაოს შედეგად დაიგეგმა.

### 1.1 ანალიტიკური სამუშაო

2013 წლის ბოლოს შსს-ს მიერ ჩატარდა მრავლისმომცველი ანალიტიკური სამუშაო. აღნიშნული უმეტესწილად ეყრდნობა სახელმწიფო უწყებებიდან (შსს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), არასამთავრობო სექტორიდან („ბემონი“, „ურანტი“, ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი“, „ალტერნატივა ჯორჯია“, „კამარა“, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“), პარტნიორი ქვეყნებიდან (აშშ, ავსტრია, გერმანია, კვიპროსი), საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), ევროპოლი - ევროპული პოლიციის ოფისი (Europol), გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ბრძოლის ბიური (UNODC)) მოწოდებულ ინფორმაციას. ამასთანავე, განხორციელდა სასწავლო ვიზიტი გერმანიაში, რომელიც მთლიანად დაეთმო ანალიტიკურ სამუშაოს.

აგრეთვე, ანალიტიკურ სამუშაოს საფუძვლად დაედო 2013 წლის აგვისტოში „ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციის“ მიერ ჩატარებული კვლევა ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია-ლეგალიზაციასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი განწყობების შესწავლის შესახებ,

ისევე როგორც 2012 წელს ACT-ს (ეისითი - ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი) მიერ ჩატარებული გამოკითხვა მარიხუანას დეკრიმინალიზაცია/ლეგალიზაციასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ ორივე სოციალური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა დეკრიმინალიზაციისა და, შესაბამისად, ლეგალიზაციის წინააღმდეგია.

## 1.2 მოკლე და გრძელვადიანი პერსპექტივები

ანალიტიკური სამუშაოს შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელიც მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში გადაჭრას საჭიროებდა.

პირველ ეტაპზე, მოკლევადიან პერსპექტივაში აუცილებელი გახდა ე.წ. „კუსტარულ ნარკოტიკებთან“, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და კლასიკური ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა. ამ კუთხით სახელმწიფოს მიერ გატარებულ იქნა შესაბამისი ღონისძიებები.

მეორე ეტაპს რაც შეეხება, სახელმწიფო აქტიურად მუშაობს ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა-რეაბილიტაციის პროექტების განხორციელების მიმართულებით.



## 2. „სააფთიაქო ნარკომანია“

### პრობლემა:


პირველი და ყველაზე მწვავე პრობლემა, რაც ქვეყნის წინაშე ნარკომომხმარებლის კუთხით იდგა, იყო ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანია“. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში კოდეინის, ეფედრინის, ნორეფედრინისა და ფსევდოეფედრინის შემცველი კომბინირებული სამკურნალო საშუალებები ლეგალურად შემოედინებოდა საქართველოში და თავისუფლად იყო ხელმისაწვდომი აფთიაქებში. აღნიშნული პრეპარატებისგან ამზადებდნენ ე.წ. „კუსტარულ ნარკოტიკებს“: „კრაკადილს“, „ვინტას“ და „ჯეფს“.

## რეაგირება:


საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ავტორობით, პარლამენტში მოხდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ინიცირება, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 15 მარტს. საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, კოდეინის, ეფედრინის, ნორეფედრინისა და ფსევდოეფედრინის შემცველი კომბინირებული სამკურნალო საშუალებების უკანონო ბრუნვა დაექვემდებარა სისხლის სამართლებრივ დევნას, განსაკუთრებით აფთიაქის მეპატრონეებისა და თანამშრომლების პასუხისგებაში მიცემის კუთხით.

## შედეგი:

აღნიშნულმა პროექტმა ძალაში შესვლისთანავე გამოიწვია „კრაკადილის“ მოხმარების 90%-ზე მეტი კლება. თუ 2014 წლის თებერვალში მოხმარებელთა გამოვლენის მაჩვენებელი შეადგენდა 340-ს, მარტში ეს მაჩვენებელი 29-მდე ჩამოვიდა, აპრილში - 6-მდე, ხოლო დეკემბერში ნულოვანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.



აგრეთვე, შთამბეჭდავია „კრაკადილის“ ამოღების მნიშვნელოვანი კლების ტენდენცია. თუ 2014 წლის თებერვალში „დეზომორფინის“ ამოღების რაოდენობა შეადგენდა 184 ფაქტს, მარტში ეს მაჩვენებელი 34 ფაქტზე ჩამოვიდა, აპრილში - 11-ზე, ხოლო დეკემბერში ნულოვანი შედეგი დაფიქსირდა.



ფაქტობრივად, დეკემბრის თვის მონაცემით, „კრაკადილის“ უკანონო ბრუნვა 100%-ით არის შემცირებული.

## სხვა ღონისძიებები:

### პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ბრუნვის უფლების მქონე იურიდიულ პირთა კონტროლი

შსს-სა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და ასოციალური დაცვის სამინისტროს შორის 2013 წლის აგვისტოში ხელი მოეწერა „ფარმაცევტულ ბაზარზე პირველი ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლისა და ზედამხედველობის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ მემორანდუმს. მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ჩამოაყალიბა

პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვიდან უკანონო არხებში გადინების პრევენციის მექანიზმები.

ფარმაცევტული ბაზრის კონტროლის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების შედეგად, „კუსტარული ნარკოტიკების“ მოხმარება ქვეყანაში მინიმუმამდეა დაყვანილი.



### 3. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები

#### პრობლემა:

მეორე, ასევე, ძალიან მწვავე პრობლემას წარმოადგენდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, ე.წ. „ბიოები“ და „სპაისები“, რომლებიც არავითარ სამართლებრივ რეგულაციას არ ექვემდებარებოდა და უკონტროლოდ შემოედინებოდა საქართველოში. აღნიშნული წარმოადგენს გამოწვევას არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

#### რეაგირება:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით, ოთხი ევროპული ქვეყნის (ავსტრია, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო, კვიპროსი) გამოცდილების საფუძველზე, შემუშავდა ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ძალაში 2014 წლის 1 მაისს შევიდა. კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ქიმიურ ნაერთთა კლასების კრიმინალიზაციას.

#### შედეგი:

##### ა) კლების სტატისტიკა


ახალი კანონი ძალიან ეფექტური აღმოჩნდა რამდენიმე მიმართულებით. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ დაფიქსირდა „ბიონარკოტიკის“ მოხმარების კლების შთამბეჭდავი ტენდენცია. კერძოდ, 2014 წლის 7 თვის (ივნისი - დეკემბერი) ჯამური მონაცემებით, 2013

წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შეინიშნება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების 90%-ზე მეტი კლება. თუ 2013 წელს ეს მაჩვენებელი (ჯამური რიცხვი) შეადგენდა 573-ს, 2014 წელს დაფიქსირდა მხოლოდ 51 შემთხვევა.

## ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ბნიშვნადოვანი კლება დაფიქსირდა



ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების  
ყოველთვიური დინამიკა (7 თვე)




ამასთან, კანონის მიღების შემდეგ, პირველ ეტაპზე, სამართალდამცავი უწყებები თითქმის ყოველდღიურად ახორციელებენ „ბიონარკოტიკის“ ამოღებას. 2014 წლის მაისი-დეკემბრის თვეებში 144 სისხლის სამართლის საქმე იქნა აღძრული და 152 პირი იქნა ბრალდებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის ფაქტზე. ამასთან, „ბიონარკოტიკის“ უკანონო ბრუნვის კუთხით შეინიშნება აშკარა კლების ტენდენცია. თუ 2014 წლის მაისში 27 საქმე იქნა აღძრული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის ფაქტზე, დეკემბერში ეს მაჩვენებელი უკვე 14 საქმემდე ჩამოვიდა, ხოლო ნოემბრის თვეში მხოლოდ 7 საქმე დაფიქსირდა. ანალოგიურად, თუ 2014 წლის მაისის თვეში 28 პირი იქნა ბრალდებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვისთვის, დეკემბერში ეს მაჩვენებელი 14 პირზე ჩამოვიდა, ხოლო ნოემბერში მხოლოდ 7 პირი დაფიქსირდა.



ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობის ყოველთვიური დინამიკა



ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვისთვის პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობის ყოველთვიური დინამიკა



საგულისხმოა, რომ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მკვეთრ კლებაზე მიუთითებს არასამთავრობო სექტორიც და დადებითად აფასებს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ნარკოპოლიტიკას.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ კანონის მიღების შემდეგ შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიებში წარმოებს 500-მდე სხვადასხვა ტიპის ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა (ე.წ. „ბიო“, „სპაისი“) თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი.

### ბ) სახელმწიფო კომისია

ახალი კანონის საფუძველზე მოხდა ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული მონიტორინგის სისტემის ინსტიტუციონალიზაცია სახელმწიფო კომისიის სახით. კერძოდ, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისია აერთიანებს რელევანტურ უწყებებს; მის შემადგენლობაში შედიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. აგრეთვე, სახელმწიფო კომისიის შეხვედრებს, საჭიროებიდან გამომდინარე, ესწრებიან შესაბამისი სპეციალისტები; მათ შორის, უზრუნველყოფილია არასამთავრობო სექტორის ჩართულობა კომისიის საქმიანობაში.

სახელმწიფო კომისია ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე და რეაგირებს ამ კუთხით არსებულ გამოწვევებზე, უზრუნველყოფს შესაბამისი კანონმდებლობის აღსრულებას, ახდენს კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებას, ანალიზს და წინადადებებით მიმართავს საქართველოს მთავრობას. სახელმწიფო კომისია წარმოადგენს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მიმართულ ქმედით უწყებათაშორის მექანიზმს.

სახელმწიფო კომისია იკრიბება ყოველთვიურად. კანონის მიღების შემდეგ, ივნისი-დეკემბრის თვეებში ჩატარდა სახელმწიფო კომისიის 7 შეხვედრა. კანონის საფუძველზე და კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობის, საჯაროობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, შსს ნარკოპოლიტიკის ახალ ვებ-გვერდზე ყოველკვარტალურად ქვეყნდება კომისიის საქმიანობის ამსახველი ანგარიშები, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.

სახელმწიფო კომისიის მუშაობის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, რომელზე რეაგირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის ცვლილების პროექტი;
- „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის სიებში ცვლილების პროექტი;

- საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალების ან/და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შესაძლო გამოვლენის ან საქონლის შეჩერების შემთხვევაში შემდგომი რეაგირების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
- „უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შენახვისა და განადგურების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 6 მარტის №295 ბრძანებაში ცვლილების პროექტი.

აღნიშნული პაკეტი მოიცავს როგორც კომპეტენციათა გამოიჯენის საკითხებს უწყებათა შორის, ასევე მათ შორის ურთიერთობების პროცედურებს, საქონლის შეჩერების პროცედურასა და სხვადასხვა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების განადგურების დეტალებს.

სახელმწიფო კომისიის საქმიანობის ფორმატში განხორციელებულ სიახლეებთან მიმართებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მონაცემთა ბაზაზე ონლაინ დაშვების ახალი სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს შსს ნარკოპოლიტიკის ვებ-გვერდზე და უზრუნველყოფს „ბიონარკოტიკის“ უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას და ამ მხრივ შსს-სა და ფინანსთა სამინისტროების, როგორც რელევანტური უწყებების, კოორდინირებულ მუშაობას.

### გ) ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების თემაზე რეგიონალური ღონისძიების დაგეგმვა საქართველოში EMCDDA-ის მიერ

ნიშანდობლივია, რომ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების კუთხით სწორედ საქართველოს შთამბეჭდავი მიღწევების შედეგად, 2015 წლის აპრილისათვის, EMCDDA-ის შემოთავაზების საფუძველზე, თბილისში დაიგეგმა რეგიონალური ღონისძიება. აღნიშნული მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, მათ შორის, ევროპასთან ვიზა ლიბერალიზაციის პროცესის განვითარების კუთხით.



რეიტოქსის რეგიონალური აკადემია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების თემაზე  
ENP აღმოსავლეთ პარტნიორობის ბენეფიციართათვის



#### 4. კლასიკური ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა

##### პრობლემა:

მესამე, ძალიან მნიშვნელოვან პრობლემად იდენტიფიცირებული იქნა კლასიკური ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე.

##### რეაგირება/შედეგი:

საზღვარზე უსაფრთხოების დაცვის გაძლიერებულმა ზომებმა და გამოძიებისა და კონტროლის მიმართ უფრო პროაქტიულმა მიდგომამ საქართველოში ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. შსს-ს მიერ დასახელებული პრობლემის ეფექტური გადაჭრისა და მისი მასშტაბების ნათლად წარმოდგენისათვის ნიშნადობლივია შემდეგი შემთხვევები:

- 2014 წლის ივნისის თვეში შსს-ს ოპერატიული დანაყოფების თანამშრომლების მიერ ამოღებულ იქნა 500 გრამზე მეტი ოდენობის კოკაინი;
- 2014 წლის ივლისის თვეში შსს თანამშრომლების მიერ საზღვრის კვეთისას დაკავებულ იქნა სატვირთო ავტომანქანა 3 ტონამდე თხევადი ჰეროინით, რომელიც შეიცავდა 589 კგ. ჰეროინს, 2 კგ-ზე მეტ კოდეინს და 12 კილოგრამ მორფინს;
- 2014 წლის მხოლოდ 31 ივლისს შსს სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, საქართველოს მასშტაბით ჩატარებული ერთობლივი ოპერატიულ-

## 2014 წლის ანგარიში საქართველოში ნარკოვიტარების შესახებ

პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად, სოფლების მიმდებარე ტერიტორიებიდან 28 ტონა და 373 კილოგრამი ველურად მზარდი კანაფი აღმოაჩინეს და გაანადგურეს.

აღნიშნული შემთხვევები უპრეცედენტოა საქართველოს ისტორიაში და მიუთითებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალიან ეფექტურ მუშაობაზე.

### სტატისტიკა:

შსს-ს საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად, წარმოგიდგენთ 2013-2014 წლებში (12 თვეში) უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების შედარებით სტატისტიკას:

დასახელება	2013	2014
ჰეროინი	117 კგ. 623,1738 გრ.	591 კგ. 895,7934 გრ.
ბუპრენორფინი	13,4241 გრ. (დაახლოებით 1 678 აბი)	25,7479 გრ. (დაახლოებით 3 220 აბი)
მეთადონი	9,5224 გრ.	77,6059 გრ.
ოპიუმი	53,15 გრ.	217,869 გრ.
ამფეტამინი	0,2695 გრ.	59,2974 გრ.
მეტამფეტამინი	3,4579 გრ.	67,8831 გრ.
მორფინი	2,651 გრ.	11 კგ. 761,8207გრ.
კოდეინი	38,294 გრ.	2 კგ. 303,2276 გრ.
ტრამადოლი	141,189 გრ.	730,45 გრ.
ფენტანილი	0,403 გრ.	0,8097 გრ.
დეზომორფინი	10,1737 გრ.	0,6129 გრ.
კოკაინი	2,445 გრ.	502,019 გრ.
ეფედრონი	0,7963 გრ.	
დიფენოქსილატი	1,443 გრ.	
პრეგაბალინი	597,725 გრ.	15 კგ. 336,067 გრ.
კანაფი	217 კგ. 776 გრ.	5420 კგ. 809,225 გრ.
კანაფის ფისი	22,039 გრ.	69,7267 გრ.
კანაფის ზეთი		9,5 გრ.
მარიხუანა	71 კგ. 609,69 გრ.	57 კგ. 399,3635 გრ.
ექსტაზი (მდმა)	76,934 გრ.	70,9151 გრ.
ფსევდოეფედრინი		81,1057 გრ.
ყაყაჩო	13 კგ. 936,62 გრ.	8 კგ. 228,397 გრ.

## 2014 წლის ანგარიში საქართველოში ნარკოვიტარების შესახებ

ყაყაჩოს ექსტრაქტი		8,651 გრ.
ყაყაჩოს ნამჯა		129,83 გრ.
ლიზერგინის მჟავა	0,0015 გრ.	
JWH „ბიოპლანი“	4,585 გრ.	
ტენამფეტამინი		1,7342 გრ.
ტეტრაჰიდროკანაბინოლი		14,54 გრ.
ციკლობარბიტალი		0,0519 გრ.

### სხვა ღონისძიებები:

#### ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების აღმოჩენის მიზნით კინოლოგიის სამსახურის განვითარება

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურო (INL) წლების განმავლობაში ხელს უწყობს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების პროფესიონალიზმისა და ოპერატიული შესაძლებლობების განვითარებას. ბიუროს დახმარებით, 2014 წლის 14 თებერვლიდან 11 აპრილის ჩათვლით, სამმა პოლიციელმა და სამმა ძაღლმა აშშ ვისკონსინისა და ვაშინგტონის შტატებში გაიარეს ნარკოტიკების აღმოჩენასთან დაკავშირებით სპეციალური ტრენინგის კურსი.

2014 წლის 1 ივლისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გაიხსნა კინოლოგიური პროექტი (K9), რომლის მიზანია შინაგან საქმეთა სამინისტროს კინოლოგიური სამსახურის შესაძლებლობების განვითარება და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა. პროექტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისგან შექმნილია ოპერატიული დანაყოფი, რომლის მიზანია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების აღმოჩენა. ორივე უწყებისთვის შექმნილია 5 სპეციალურად დაგეგმილი ძაღლი. ძაღლების საწვრთნელად სამსახურის ტერიტორიაზე აშენებულია ვოლიერები და ე.წ. იმიტირებული ოთახი. თბილისის აეროპორტის გარდა, კინოლოგები, ძაღლებთან ერთად, პერიოდულად აწარმოებენ საქართველოს სხვადასხვა საკონტროლო-გამშვები პუნქტის (სარფი, სადახლო, ლარსი) პატრულირებას.

2015 წლის 17 იანვრიდან 28 თებერვლამდე აშშ-ში მივლინებულია საპატრულო პოლიციის 5 თანამშრომელი. 2 მათგანი გადამზადდება კინოლოგების ინსტრუქტორად, ხოლო 3 პოლიციის თანამშრომელი გაივლის კინოლოგის მომზადების კურსს. ამასთან, დაგეგმილია 5 ძაღლის ჩამოყვანა.



## 5. პრევენცია

### პრობლემა:

ანალიტიკური სამუშაოს ფორმატში ხაზი გაესვა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობას საქართველოში ნარკოვიტარების კუთხით.

### რეაგირება/შედეგი:

#### ა) ანტინარკოტიკული კამპანია

2014 წლის 24 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაანონსდა დასაწყისი ფართო ანტინარკოტიკული კამპანიისა - „არა ბიონარკოტიკს“. კამპანიაში აქტიურად არიან ჩართულნი ისეთი სახელმწიფო უწყებები, როგორცაა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

კამპანიის მიზანია საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, მაქსიმალური ინფორმირებულობა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სხვადასხვა ნეგატიურ მხარეებთან დაკავშირებით და მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. აღნიშნულით შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს თავის პირველად ფუნქციას - პრევენციას. საქართველოს პოლიცია, მართალია, თითოეულ ჩადენილ დანაშაულზე ახდენს ეფექტურ რეაგირებას. თუმცა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია პოლიციის ინტერვენირება დანაშაულის ჩადენამდე. აღნიშნულის ყველაზე საუკეთესო გზა კი საზოგადოების ინფორმირებულობაა, რაც შეესაბამება დასავლურ სტანდარტებსა და საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ისეთ სისტემას, როგორც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოყალიბდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მნიშვნელოვანია მთელი მოსახლეობის, საზოგადოების ყველა

სეგმენტის ჩართულობა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საქმეში. სწორედ ამიტომ კამპანიის სლოგანია - „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“.

ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, სკოლებსა და უნივერსიტეტებში ხვდებიან ახალგაზრდებს. ისინი მათ აცნობენ როგორც ნარკოტიკების არალეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებს, ასევე, ნარკოტიკების მოხმარების ნეგატიურ გავლენას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. კამპანიას შეუერთდნენ სპორტისა და ხელოვნების სხვადასხვა წარმომადგენლები. მათ მიერ განხორციელდა სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი რეზონანსი, რომელიც ანტინარკოტიკულ კამპანიას მედიასა და სოციალურ ქსელებში მოჰყვა. კამპანია აქტიურად შუქდებოდა საინფორმაციო გამოშვებებში, ნარკოტიკების თემატიკას მიეძღვნა მრავალი სიუჟეტი, ტელე და რადიო გადაცემა. მიმდინარეობს ნარკოტიკების თემის აქტიური განხილვა სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტ-ბლოგებზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ჩატარდა მედია-კონკურსი, სადაც სხვადასხვა ნომინაციებში მედიის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. აღნიშნულ კონკურსზე წარმოდგენილი იყო ძალიან ბევრი საინტერესო ტელე თუ რადიოსიუჟეტი, გადაცემა, სტატია და ა.შ.

საბოლოო ჯამში, ანტინარკოტიკული კამპანიის მთავარმა გზავნილებმა მოსახლეობის ყველა სეგმენტამდე, განსაკუთრებით, ამ კუთხით ყველაზე მოწყვლად ჯგუფამდე - ახალგაზრდობამდე მიაღწია, რამაც, ბუნებრივია, ხელი შეუწყო ნარკოტიკების მოხმარების კლებასა და ნარკომომხმარების პრევენციას ქვეყანაში.





## ბ) ნარკოპოლიტიკის ვებ-გვერდი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ საიტზე (police.ge) შეიქმნა ნარკოპოლიტიკის ახალი ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სახელმწიფოს დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის შესახებ, ქვეყნის წინაშე არსებული უმთავრესი გამოწვევებისა და მათზე რეაგირების ეფექტური ზომების მითითებით, რაც წარმატებით განხორციელდა და აისახა შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებში (იხ. *supra*). აგრეთვე, ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ანტინარკოტიკული კამპანიის შესახებ, კამპანიის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებზე გადამისამართების შესაბამისი ბმულების მითითებით, მათ შორის, სოციალური მედიის ვებ-გვერდზე: „არა ბიონარკოტიკს - ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“. ამასთან, ნარკოპოლიტიკის საიტზე ცალკე გრაფა ეთმობა ნარკოვიტარების მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ფარავს როგორც რელევანტურ შიდა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, აგრეთვე, საერთაშორისო ხელშეკრულებს (და მათ ავტორიტეტულ კომენტარებს), რომელთა წევრიც არის საქართველო.

ნარკოპოლიტიკის საიტზე სათანადო ყურადღება ეთმობა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის საქმიანობას. კერძოდ, საიტზე განთავსებულია ინფორმაცია სახელმწიფო კომისიის სტრუქტურის, ფუნქციებისა და საქმიანობის წესის შესახებ. საიტზე სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია კომისიის შეხვედრების შესახებ და ყოველკვარტალური ანგარიშები საქართველოში ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით არსებულ ვითარებაზე. აგრეთვე, ნიშანდობლივია, რომ საიტზე სახელმწიფო კომისიის გრაფის ფარგლებში ფუნქციონირებს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მონაცემთა ბაზაზე ონლაინ დაშვების სისტემა, უწყებათაშორისი კოორდინაციისა და ინფორმაციის სწრაფი და ეფექტური გაცვლის უზრუნველყოფის მიზნით.

ნარკოპოლიტიკის ახალ ვებ-გვერდზე, აგრეთვე, მოცემულია ინფორმაცია სამართალდამცავი კუთხით შსს-ს მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედებების, ნარკოტიკების თემატიკაზე შსს-ს წარმომადგენელთა მხრიდან ტრენინგებში, საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობის, რელევანტურ პროექტებში ჩართულობის და სხვა მსგავსი ღონისძიებების შესახებ, შესაბამისი გადამისამართების ბმულებით.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ნარკოპოლიტიკის ახალი ვებ-გვერდი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზეც, რაც კიდევ უფრო უზრუნველყოფს სახელმწიფოს საქმიანობის გამჭვირვალობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკის კუთხით.



## 6. საერთაშორისო თანამშრომლობა

### 6.1 კინოლოგიური სამსახურის შესაძლებლობების განვითარება

კინოლოგიური სამსახურის განვითარების მიზნით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) დახმარებით, განხორციელდა ვოლიერების რეაბილიტაცია, სამძებრო ძალების შექმნა და კინოლოგთა გადამზადება აშშ-ში; 2014 წლიდან, შსს-სა და შემოსავლების სამსახურის კინოლოგები ერთობლივად ახორციელებენ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შემოდინების აღკვეთის ღონისძიებებს.

2014 წლის სექტემბრის თვეში საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ აშშ კინოლოგიური სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც ადგილზე გაეცნენ ოპერატიული ჯგუფის მუშაობასა და ნარკოტიკების პოვნაზე დაგეშილი ძალების წვრთნის პროცესს. ვიზიტის მიზანი იყო რეკომენდაციების შემუშავება და 2015 წლის ღონისძიებების დაგეგმვა. დაიგეგმა დამატებით 5 საპოლიციო ძალის შექმნა, 5 ახალი კინოლოგის შერჩევა და აშშ-ში სასწავლო ვიზიტის ორგანიზება.

### 6.2 კონტეინერების კონტროლის პროგრამა

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა (WCO) და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) ერთობლივი ინიციატივით, 2012 წელს დაიწყო გლობალური კონტეინერების კონტროლის პროგრამის (CCP) იმპლემენტაცია საქართველოში. შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან შსს-ს საპატრულო პოლიციის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები. სამუშაო ჯგუფი ფოთის პორტში კონტეინერების ნარკოტიკულ ნივთიერებებზე შემოწმებას ახორციელებს.

## 6.3 EMCDDA-ს თანამშრომლობა

2014 წლის ივნისის თვეში, EMCDDA-სთან თანამშრომლობის გაღრმავებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ, ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს დელეგაციის შემადგენლობაში, მონაწილეობა მიიღო ლისაბონში, პორტუგალიაში EMCDDA-ის სათაო ოფისში გამართულ სამუშაო შეხვედრაში. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში განიხილებოდა საქართველოში ნარკოტიკულ ნივთიერებათა ობსერვატორიის შექმნის საკითხი.

## 6.4 ნარკომანიასთან ბრძოლის კუთხით ორმხრივი/მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადება

2014 წელს საქართველოს მთავრობამ გერმანიასა და გაერთიანებულ სამეფოსთან გააფორმა საერთაშორისო ხელშეკრულებები ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში, რომლებიც, ასევე, ფარავს ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

2014 წლის 1 მაისს საქართველოსთვის ძალაში შევიდა ევროსაბჭოს სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი.

2014 წლის დეკემბრის მონაცემებით, საქართველომ გააფორმა საერთაშორისო ხელშეკრულებები 23 ქვეყანასთან დანაშაულთან ბრძოლის და საპოლიციო სფეროში. კერძოდ, ეს ქვეყნებია: ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ბულგარეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ეგვიპტე, ესტონეთი, თურქეთი, ისრაელი, იტალია, საფრანგეთი, სომხეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, უზბეკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ყაზახეთი. ეს პროცესი კვლავაც გრძელდება, რათა დაიფაროს ევროკავშირის წევრი და სხვა ქვეყნები ორმხრივი თანამშრომლობის დონეზე.

## 6.5 არსებული საერთაშორისო მექანიზმები, პოლიციის და საბაჟო ატაშეთა ფორუმი, ორმხრივი ხელშეკრულებების მექანიზმი/მუშა ჯგუფები

ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური სამსახურები ეფექტიანად იყენებენ არსებული საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების (UN, EU, GUAM, BSEC, WCO, IOM), პოლიციის ატაშეთა ფორუმებს, ორმხრივი ხელშეკრულებებისა და მუშა ჯგუფების მექანიზმებს.

2014 წლის 22-25 აპრილს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ყაზახეთში, ევროკავშირის პროექტის “Heroin

Route"-ის ფარგლებში, „საუკეთესო პრაქტიკა ინფორმაციის გაცვლისა და ანალიზის" შესახებ გამართულ რეგიონულ კონფერენციაში.

2014 წლის აპრილში, ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის მუშაკები შეხვდნენ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბრიტანეთის ეროვნული სააგენტოს (National Crime Agency) მეკავშირე ოფიცერს.

### 6.6 ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები შსს შესაბამისი სამსახურების თანამშრომელთათვის/გამოცდილების გაზიარება

2014 წლის განმავლობაში შსს-ს სხვადასხვა რელევანტური დანაყოფების თანამშრომლებმა გაიარეს ნარკოდანაშაულთან დაკავშირებული სხვადასხვა ტრენინგები, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ბაზაზე და პარტნიორ ქვეყნებში.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2014 წლის განმავლობაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის კუთხით გამოცდილების გაზიარების მიმართულებით განხორციელდა რამდენიმე ვიზიტი საზღვარგარეთ (გერმანია, აშშ, ავსტრია, ჩეხეთი და ა.შ.). ქართული გამოცდილების გაზიარების ფარგლებში საქართველოს ეწვია, ასევე, თურქეთის დელეგაცია.